The European Union for Georgia

ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

RURAL AND AGRICULTURAL POLICY AND DEVELOPMENT INSTITUTE

ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (AA/DCFTA)

დოკუმენტი მომზადებულია „სოფლის მეურნეობის საგანმანათ-ლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ. პროექტი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სერვისისთვის ევროკავშირის ბაზარს ხსნის. DCFTA სრულად 2016 წლის 1 ივლისს ამოქმედდა.

საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის ეტაპობრივად გაიხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს. ევროკავშირის ბაზრის უპირატესობები:

- ✓ სტაბილურობა
- ✓ ღია თამაშის წესები
- ✓ დისტრიბუციის გამართული ქსელი
- ✓ მზარდი ფასები და მოთხოვნა ნატურალურ და ხარისხიან პროდუქტებზე
- ✓ მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მომხმარებელი

DCFTA საშუალებას იძლევა, რომ 10000-ზე მეტი დასახელების პროდუქტი ევროკავშირში საბაჟო ბარიერების გარეშე შევიდეს, თუმცა არსებობს გამონაკლისები:

1. გაყალბების რისკს დაქვემდებარებული პროდუქტები (მაგ. საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ბურღულეული, სოკო და სხვა)
2. პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება შესვლის ფასი - შესვლის ფასს მეწარმე იხდის იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შექმნილი პროდუქციის საინვოისო ფასი (გასაყიდი ფასი) ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება.
3. წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტები (ნიორი 220 ტონა)

საქონლის წარმოშობის წესები

იმისათვის, რომ ქართული პროდუქცია გათავისუფლდეს საბაჟო ტარიფისგან, ის უნდა აკმაყოფილებდეს წარმოშობის წესებს. არსებობს 2 მთავარი კატეგორია:

1. მთლიანად საქართველოში წარმოშობილი - მიღებული მიწიდან და ზღვიდან, ასევე ცოცხალი საქონელი
2. ნაწილობრივ საქართველოში წარმოშობილი - პროდუქცია, რომლის მასალებმა საქართველოში განიცადა საკმარისი დამუშავება ან გადამუშავება

იმისათვის, რომ ვისარგებლოთ პრეფერენციული ტარიფებით საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტისას, აუცილებელია ექსპორტიორს აღებული ჰქონდეს საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR. 1

როგორ მოვიპოვოთ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის უფლება

არსებობს სავალდებულო და ნებაყოფლობითი მოთხოვნები:

1. სავალდებულო მოთხოვნები = ხელისუფლების მიერ დაწესებული მოთხოვნები
2. ნებაყოფლობითი მოთხოვნები და სტანდარტები = დაწესებული იმპორტიორების/მყიდველების მიერ. ერთ-ერთი მაგალითია GLOBAL GAP, რომელიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტი. GLOBAL GAP-ის მოქმედების სფეროა: სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მეცხოველეობა, აკვაკულტურები და სხვ. სტანდარტი, გარდა სურსათის უვნებლობისა, ასევე ეხება გარემოს დაცვას, თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

ზოგადი მოთხოვნები პირველადი მწარმოებლებისთვის:

სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია - ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა სურსათის პირველად წარმოებას მისი რეალიზაციის მიზნით, ვალდებულია დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებლად. სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ჰიგიენური მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის - პირველადმა მწარმოებლებმა უნდა განახორციელონ საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები, მათ შორის, ყველა შესაძლო წყაროდან დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები.

მიკვლევადობა - აუცილებელია ბიზნეს ოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, რათა მოთხოვნის შემთხვევაში, საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოები

სურსათის უვნებლობის კონტროლი - მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე. საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში სახელ მწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სურსათის ეროვნული სააგენტო.

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი - საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყენებული პესტიციდები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს

ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 396/2005. რეგულაციით დადგენილია მცენარეთა დაცვის საშუალებებით გამოწვეული ნარჩენების მაქსიმალური ზღვრები, რომელიც ვრცელდება მთელ ევროკავშირის ბაზარზე და საერთოა მისი ყველა წევრისათვის.

ზოგადი მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის/გადამამუშავებლებისთვის:

სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია - ნებისმიერმა ბიზნესოპერატორმა, რომელიც დაკავებულია სურსათის წარმოებით, იმპორტით და რეალიზაციით, უნდა გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია. სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციას ახორციელებს საქარ თველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ბიზნეს ოპერატორის აღიარება - აღიარებას ექვემდებარება ისეთი საწარმო, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოება და/ან გადამუშავება. აღიარებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სურსათის ეროვნული სააგენტო.

ჰიგიენური მოთხოვნები სურსათის მწარმოებელი საწარმოების მიმართ - სავალდებულოა ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

HACCP (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპები) - ბიზნესოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს სისტემა HACCP-ის 7 პრინციპის შესაბამისად. HACCP სისტემა გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის წინასწარ განსაზღვრას და მათი პრევენციის, აღმოფხვრის ან მისაღებ დონემდე დაყვანისათვის საჭირო ქმედებების დაწესებას.

სურსათის ეტიკეტირება - ბიზნესოპერატორმა უნდა დააკმაყოფილოს სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მათ შორის, ეტიკეტზე განთავსებული სავალდებულო ინფორმაცია, კვებითი ღირებულების აღნიშვნა და სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადა

სურსათის უვნებლობის კონტროლი - ბიზნეს ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

სურსათში პესტიციდების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვრები - საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყენებული პესტიციდები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 396/2005. რეგულაციით დადგენილია მცენარეთა დაცვის საშუალებებით გამოწვეული ნარჩენების მაქსიმალური ზღვრები, რომელიც ვრცელდება მთელ ევროკავშირის ბაზარზე და საერთოა მისი ყველა წევრისათვის.

კოსტავას ქ. N47, ოფისი #23, 0194, თბილისი, საქართველო
www.rapdi.org info@rapdi.org